№ 236—1903

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 236
1877

ივერია

№ 236
1903

ნოემბერი 5, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 5, ოთხშაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი**, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.**

„ცოდნა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სასმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქაღალდ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

აქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

წარმოდგენა № 14. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

ირინეს ბედნიერება

სცენები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა

II

პირველი ბუზი

კომედ. 3 მოქ. გად. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი; ა. კარგარეთელისა, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა“, მოლიერისა. შემდეგი ბენეფისი 11 ნოემბერს კ. ყიფიანისა.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 4 ნოემბერს 1903 წ.

გამოჩენილის ბარიტონის ჯირალდონის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 7 მოქმედ. 3 სურ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: რენე-რადანა, კარრი, დელინა, ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, გავრილოვი, ზერელი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ს. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხუთშაბათს წარმოდგენა არ იქმნება, რადგან რეპეტიციები უნდა იყოს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს გალობის მცოდნეს, რომელსაც სურს **გალობის მასწავლებლის ადგილი** დაიჭიროს დავითისა, ვერისა I, ვერისა III და ჩუღურეთის საქალაქო დასაწყისის სასწავლებლებში. თხოვნები მიიღება 20 რიცხვამდე ამ ნოემბრისა; თხოვნასთან უნდა წარუდგინოს გამგეობას მასწავლებლობის უფლების საბუთები.

3—6—3

ტფილისის სამაზრო კასსის გამგეობა

აუწყებს თავის წევრთა გარდაცვალებასა ამავე კასსის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს შემოიტანონ ხვედრი გარდასახადი თითო მანეთი და ხუთი შაური გამგეობის წევრ იასებ მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიჰმართოს.

(4—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ბ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

ტფილისი

⁂ ქალაქის გამგეობამ განიხილა მიწერ-მოწერა „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობის“ სტამბისა, რომელმაც წარუდგინა ანგარიში 3,345 მ. და 30 კ. საანგარიშო დავთრებისა და სხვა ბლანკების დაბეჭდვისა. გამგეობას გაოცებია ეს ანგარიში, რადგან არ შეუკვეთია ამხანაგობის სტამბისათვის ამდენი დავთრები და ქაღალდები და უარი განაცხადა, ამ ფულს ვერ მოგცემთო და, ვინც შეგიკვეთათ, იმას მოსთხოვეთო. აღმოჩნდა, რომ დავთრები გამგეობის მოხელეებს შეუკვეთიათ. ამის გამო გამგეობამ დაადგინა, მივიღოთ მხოლოდ ის დავთრები, რაც დღეს ჩვენთვის საჭიროა ანუ შემდეგში დაგვჭირდება და ფულიც იმის კვალობაზე მივცეთ ნაწილ-ნაწილად, თანხმად მომავალის წლების სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვებისაო. ამასთანავე გამგეობამ აუწყა თავის მოხელეებს, რომ თქვენ არა გაქვთ უფლება შეუკვეთოთ რამე სამუშაო სტამბებს, გამგეობის დაუკითხავად და, თუ ვინმემ შეუკვეთა, თვით ის იქმნება პასუხის-მგებელიო.

⁂ ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის გ. ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით, მსჯელობა ექნება მარგანეცის მრეწველთა საჭიროების შესახებ. ეხლახან მარგანეცი აღმოჩენილა აღმოსავლეთ ინდოეთში და ეს გარემოება ხელს უშლის ჩვენებურის მარგანეცის გატანას საზღვარ-გარედ.

⁂ „რუსეთის უწყებას“ გადაუბეჭდია „მოსკოვის უწყებიდან“ კორესპონდენცია ტფილისიდგან მთავარ-მართებლის თ-დ გ. ს. გოლიცინის დაჭრის შესახებ სხვათა შორის, კორესპონდენტი სწერს, რომ ჭრილობა მსუბუქი არ იყო; თავში დარტყმულ ხანჯალს ძვალიც დაუშავებია. მარჯვენა ლოყაზედ ჭრილობა ღრმა და გრძელი იყო, ისე რომ ხორცი შუაზედ გაჰყო და შიგ ოთხი თითი ჩავიდოდაო. ოპერაცია ლოყის გაკერვისა თავად გოლიცინს უქლოროფორმოდ აუტანია. დასასრულ კორესპონდენტი ამბობს, საკმაო საბუთებია ვიფიქროთ, რომ მთავარ-მართებლის წინაამდეგ დიდი შეთქმულობა ყოფილაო.

⁂ ქალაქის სამოსწავლო კომისიამ უნდა შეადგინოს სია მასწავლებელ ქალებისა, რომლებიც თხოულობენ მასწავლებლობის ადგილს ქალაქი სკოლებში. 1 ნოემბრამდე 60 თხოვნა მიუღია და ყოველ დღე კიდევაც ბევრი აცხადებს სურვილს. კომისიამ დაადგინა განხილვა თხოვნებისა და გამოკვლევა მთხოვნელთა ვინაობისა მიანდოს სამოსწავლო კომისიის წევრებს: ლისიციანცს, მელიქ-ბეგლიაროვს, თ-დ თუმანოვს და დოლუხანოვს.

⁂ ჩვენ მივიღეთ ახალი სომხური წიგნაკი „განკარგულება“, მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა, თარგმნილი ქართულიდგან სომხურ ენაზედ ბ-ნ ლ. კ—საგან, გამოცემული იაგორიანცის მიერ. წიგნაკს წინ მიუძღვის წინასიტყვაობის მაგიერ მოკლე ბიოგრაფია ეგ. ნინოშვილისა. წიგნაკში გარდა ავტორის სურათისა, ორი სხვა სურათიც არის ტექსტში, ლამაზად არის დაბეჭდილი, შეიცავს 16 ბეჭდურ გვერდს პატარა ფორმატისას და ჰღირს 5 კაპ.

⁂ გუშინწინ, 3 ნოემბერს, ტფილისის მოქალაქეებმა ტრიფონ ჯამასპოვმა და მარქარ ბეკ-ავაქოვმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. სთხოვენ, ქალაქმა ნება დართოს მოაწყონ ტფილისში საავტომობილო მიმოსვლა. პირველ ხანს უნდათ იქონიონ 20 ავტომობილი, ათი სახალხოდ და ათიც საბარგოდ. შემდეგ ყოველ წელს მოუმატებენ ოთხ ავტომობილს, თუ საჭიროება მოითხოვს— მეტსაც. თითო მგზავრს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ტრამვაია, გადახდება 1 კაპ. ნაკლები, ვიდრე ტრამვაიზეა, ხოლო სხვა ნაწილებში —5 კაპ. რკინის გზის სადგურიდგან საქონლის გადმოსაზიდ ავტომობილებზე დაწესებული იქნება შემდეგი გარდასახადი: ქალაქის შუაგულ ადგილებამდე ფუთზე $1\frac{1}{2}$ კაპეიკი, ქალაქის ერთი ნაპირიდან მეორემდე 2 კ. კონცესიონერები ქალაქის სასარგებლოდ გარდაიხდიან მთელის შემოსავლის 7%-ს. გარდასახადისა და ავტომობილების რიგიანად მოწყობის უზრუნველ საყოფლად კონცესიონერები ბედ წარადგენენ 1000 მანეთს.

⁂ ქალაქის საბჭოში 3 ნოემბერს დიდი კამათი გამოიწვია ხმოსან ნ. ხუდადოვის ვრცელმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ ქალაქის განაპირა მიწები იჯარით იძლევა არა იმ ფასად, როგორც საბჭომ დაადგინა 1895 წელს,—10, 15 და 20 კაპეიკად საჟენი, არამედ უფრო ძვირად, როგორც გამგეობა მოისურვებს. ბ-ნი ხუდადოვი მრავალს ამისთანა შემთხვევას უჩვენებს და თხოულობს კომისია დაინიშნოს ამ საქმის ყოველმხრივ გამოსარკვევად. რადგან გამგეობის მოქმედებაზედ უნდა ყოფილიყო მსჯელობა, ქალაქის მოურავმა თავმჯდომარის ადგილი დაუთმო ხმოსან ვესელოვზოროვს. ბ-ნ ხუდადოვის მოხსენებას ვრცელი პასუხი გასცა გამგეობის წევრმა თ-დ ჩერქეზიშვილმა, რომელმაც ბოლოს ის აზრი წარმოსთქვა, რომ ბ-ნ ხუდადოვის განცხადება უყურადღებოდ უნდა დარჩესო. თ-დ მიქელაძემაც მხარი მისცა. ხმოსანმა ევანგულოვმა გამგეობის მოქმედებაში უწესო და საბჭოს საწინაამდეგო ვერა იპოვა-რა. ხმოსანმა ხუდადოვმა ყველას პასუხი გასცა და თავის აზრს ამჯობინებდა. ბოლოს ბ-ნ ხუდადოვის განცხადება კომისიის დაარსების შესახებ საბჭომ უარ-ჰყო, ხოლო დაადგინა სხვა კომისია აირჩიოს წესებისა და პირობების შესამუშავებლად ქალაქის მიწების იჯარით გაცემის შესახებ.

შემდეგ არჩევნები იყო გამგეობის წევრისა. ბარათებით ყველაზე მეტი ხმა ლ. ტიგრანოვს ამოუვიდა. ეს იუკადრისა ექიმმა ხატისოვმა და ყუთი აღარ დაიდგა. შედეგი არჩევანებისა გუშინ დავბეჭდეთ.

ცოტა რამ თეატრის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბევრნაირი აზრი გამოთქმულა ჩვენის თეატრის შესახებ. ბევრი სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია მის უნუგეშო მდგომარეობას და ბევრიც გაუმხნევებია. ყველა იბრძვის ამ საქმისთვის, ყველას სურს თავისი წვლილი შეიტანოს ამ საერთო ბრძოლაში და, ცოტად თუ ბევრად, წინ წასწიოს თეატრის საქმე. ამისთანა მოვლენა ადვილი ასახსნელიც არის: ყველას კარგად ესმის თეატრის დიდი მნიშვნელობა.

რამდენადაც დიდ-მნიშვნელოვანია თეატრის წარმატება ჩვენში, იმდენად მეტის სიფრთხილით, მეტის დაკვირვებით უნდა მოვექცეთ. თეატრის საქმეში უმთავრესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული რეპერტუარს და არტისტებს. თუ ეს ორი ქვა-კუთხედი სდგას ნაყოფიერს ნიადაგზედ, მაშინ თეატრის საქმე წარმატების გზას დაადგება, თუ არა და ისევ ისე იქნება შეჩერებული ერთს წერტილზე, როგორც ახლა არის.

ხშირად ჩვენს გაზეთებში საყვედური გამოუცხადებიათ ინტელიგენციისთვის იმის გამო, რომ არ დაიარება თეატრში; მაგრამ ინტელიგენციას აქვს გასამართლებელი საბუთი. წარმოადგინეთ შესაფერი პიესები და ისიც დაიწყებს სიარულს. ინტელიგენციას ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი, ყოველგვარ ხელოვნებას მოკლებული, ვითომდა ისტორიული დრამები, კომედიები, რომლების კომიზმიც იხატება მხოლოდ სიტყვების დამახინჯებაში, და მელოდრამები. ეს რეპერტუარი სახალხო თეატრის რეპერტუარადაც არ გამოდგება. მაშ, რითი აიხსნება, თუ არ ამითი, რომ იბსენის „ნორას" წარმოდგენის დროს, თეატრი გატენილი იყო ინტელიგენციით მაშინ, როდესაც გალლერეია სრულიად ცარიელი იყო? სჩანს, რომ ინტელიგენციას სურს თეატრში სიარული, მაგრამ, რადგანაც უხეირო პიესებს აწოდებენ, იძულებულია აღარ იაროს. ინტელიგენციას სურს ხელოვნურის ნაწარმოების ყურება. სანამ ხალხი განვითარდება და მოვა იმ საფეხურამდე, სადამდისაც მისულია ჩვენი ინტელიგენცია, ეს მელოდრამები და ისტორიული დრამები დააკმაყოფილებს; შემდეგ-კი, რასაკვირველია, ხალხიც უკეთესს პიესებს მოითხოვს და ცარიელი ხმლების ტრიალი აღარ შეიქმნება მის სათაყვანებელ საგნად. ამ ჟამად ტფილისში რამდენიმე სახალხო თეატრია. აი ამ თეატრებში უნდა იდგმებოდეს სახალხო პიესები; იქ შეიძლება ხალხმა ნახოს თავის გემოვნების პიესები, იქ უნდა განვითარდეს. ჩვენი თეატრის გამგეობა-კი უნდა ცდილობდეს, რომ ინტელიგენციასაც მიაწოდის პიესები, შესაფერი მისის ცოდნისა, სწავლისა და განვითარებისა. კიდევ ვიმეორებ, ეს თუ ასე არ მოჰხდა, ინტელიგენცია არ დაიწყებს სიარულს თეატრში, იმიტომ რომ ახალს ვერაფერს გამოიტანს იქიდან. მაშ, რითი უნდა უშველონ საქმეს? რა ვქნათ, როდესაც უკეთესი პიესები არა გვაქვს? ამაზე პასუხის მიცემა ძალიან ადვილია.

იქ, სადაც ხელოვნება ხელობად არის გადაქცეული და ადამიანი იმისაგან გამორჩენას მოელის, რასაკვირველია, პრემიების დანიშვნა ბუნებრივი მოვლენაა. იქ შეიძლება 30-მა თუმანმა ხელში აალებინოს მწერალს კალამი და ხელოვნური ნაწარმოები დააწერინოს, მაგრამ ჩვენში-კი ეგ არ უნდა იყოს. სულმა და გულმა უნდა დაჰბადოს ხელოვნური ნაწარმოები, როგორც ბრძანებს ბ-ნი უმიკაშვილი, და არა 30-მა თუმანმა. თუ მწერალს ნიჭი აქვს და ცხოველმყოფელობა ეტყობა, თუ გატაცებულია მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით და არა სახელისა და ფულის მოხვეჭის სურვილით, უპრემიოთაც დასწერას პიესას და ემსახურება ხელოვნებას. აი სწორედ ამნაირ გარემოებათა შორის წარმოშობილი ნაწარმოები იქნება ხელოვნური ნაწარმოები. ის მწერალი-კი, რომელსაც 30-მა თუმანმა აალებინა ხელში კალამი, ხეირიანს ვერაფერს დასწერს. ჩემის აზრით, უფრო კარგი იქნებოდა, ის ფული, რომელიც ხმარდება პრემიებს, მოხმარებოდა უცხო ენებიდან პიესების გადათარგმნას და გამოცემას. ამით თეატრსაც რეპერტუარი გაუფართოვდებოდა კარგის პიესების შეძენით და მკითხველი საზოგადოებაც გაეცნობოდა ევროპის საუკეთესო მწერლებს. ევროპიულ ლიტერატურის გაცნობა უფრო ადვილად დაჰბადავს მწერლებს, ვიდრე 30 თუმანი.

საჭიროა, საჭირო, რომ ჩვენში ხელოვნება ხელობად არ გადაიქცეს!..

მეორე უმთავრესი საქმე არის არტისტების მომზადება. ამ შემთხვევაში ხშირად ჩვენი საუკეთესო არტისტებიც-კი დიდს შეცდომაში ვარდებიან ხოლმე. არტისტები უნდა სცდილობდნენ თითონ კი არ დაეშვან განვითარების იმ საფეხურამდე, რომელზედაც სდგას მაყურებელი საზოგადოება, არამედ საზოგადოება ასწიონ თავის სიმაღლემდე. არტისტები უნდა სცდილობდნენ აჩვენონ საზოგადოებას ის-კი არა, რაც მხოლოდ ასიამოვნებს და დროს გაატარებინებს, არამედ ის, რაც სასარგებლოა მისთვის. არტისტმა უნდა დახატოს ტიპი ისე, როგორც ავტორს ჰყავს დახატული და არა ისე, როგორც მაყურებელს სურს. ეს თუ ასე არ მოჰხდა, საზოგადოებას ცუდი შეხედულობა შეექმნება ხელოვნებასა და მის დანიშნულებაზე, გემოვნება გაერყვნება და პიესას კრიტიკის თვალით ვეღარ შეჰხედავს.

წარმოდგენა მაშინ მისთვის შეიქმნება მხოლოდ უბრალო გასართობი, რაც, რასაკვირველია სასურველი არ უნდა იყოს. დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენი არტისტები ხშირად მაყურებლის გემოვნებას აჰყვებიან ხოლმე და არა ხელოვნების მოთხოვნილებას, მოვიყვან ერთს მაგალითს „ჰამლეტიდან". წარმოდგენის შემდეგ, როდესაც სასახლეში აყალმაყალი ასტყდება, დედოფალი დაიბარებს თავის ოთახში ჰამლეტს. ბ-ნი მესხიშვილი სცენაზედ ანთებულ სანთლებით შემოვიდა. სწორედ გაუგებარია, რად დასჭირდა პრინცს სანთლით სიარული? სასახლეში დღესასწაული იყო გამართული, მოწვეულნი იყვნენ სტუმრები და ნუ თუ ოთახები განათებული არ იქნებოდა? ჩვენ ვერც იმას ვიგულისხმებთ, რომ ამ დროს სასახლე უკვე დაცარიელებული ყოფილიყოს, რომ ყველა უკვე ყოფილიყო წასული, რადგანაც როზენკრანც და გილდესტერნ ხელმწიფეს ელაპარაკებოდნენ და პოლონიუსი დედოფლის ოთახში იმალებოდა. სჩანს, რომ სასახლეში ჯერ ისევ ხალხი ირეოდა და, რადგანაც ხალხი ირეოდა, განათებულიც უნდა ყოფილიყო. მაშ, რად დასჭირდა ბ-ნ მესხიშვილს სანთლები? ეს ადვილი ასახსნელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მის თამაშობას, როდესაც, ლაპარაკის შემდეგ, ჰამლეტი გამოეთხოვება დედას, „პოლონიუსს მხარზედ მოიკიდებს და გაიტანს". ასე სწერია დედანში. ბ-ნმა მესხიშვილმა-კი აიღო ხელში შანდალი, გავიდა გარეთ და იქიდან დაუწყო მზერა თავის დედას (რაც, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება ჰამლეტის ხასიათს). როდესაც დაინახა, რომ დედა შევიდა ქმრის საწოლ ოთახში და არა თავის საკუთარში, როგორც ურჩევდა ჰამლეტი, ბ-ნი მესხიშვილი შემოვარდა სცენაზედ, გაუშვა ხელიდამ შანდლები და დადგა თავ-ჩაღუნული. სანთლები, რასაკვირველია, დაიმტვრა, და ხმაურობამ იმოქმედა მაყურებელზედ, რომელიც აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგება... განსაკუთრებით სანთლების დამტვრევას.

ამ მაგალითიდან ნათლად სჩანს, რომ ჩვენს საუკეთესო არტისტს ეფექტისთვის მიუქცევია უმთავრესი ყურადღება და არა ტიპის სწორედ დახატვისათვის. სცდილა ესიამოვნებინა მაყურებელი და არა ეჩვენებინა დიდებულის შექსპირის ტიპი. თუ-კი საუკეთესო არტისტს მოსდის ესეთი შეცდომები, მეორე ხარისხოვან არტისტებისაგან მით უფრო მოსალოდნელია. აი ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება.

ზევითაც იყო ნათქვამი და ეხლაც ვიტყვი, რომ ჩვენის თეატრის რეპერტუარი უნდა შეიცვალოს. მელოდრამებზედ გაყინვა არავისთვის არ არის სასარგებლო. ამისათვის-კი საჭიროა, რომ არტისტები, ცოტად თუ ბევრად, განათლებულები იყვნენ, შეეძლოთ თავისუფალი მსჯელობა, კრიტიკულად განხილვა პიესისა, შეტანა თამაშობაში ინდივიდუალობისა და არა ბაძვით თამაშობა, რაც ძალიან ემჩნევათ ჩვენს ახალ-გაზდა არტისტებს, ამისთანა აზრით უნდა ხელმძღვანელობდეს დირექცია ახალ აქტიორების მიღების დროს.

ა. ჯ—შვილი

სვანეთში ორის კვირით

(შემდეგი *)

XVI

ჯერ კალის საზოგადოების ს. ხევიჩნას გავეიდთ საქანელა ხიდზედ, მერე უკანვე გამოვედით ენგურის მარცხნივ და ამ მხრივ ვიარეთ იფარამდე თითქმის თხუთმეტი ვერსი. ხან ზედ ენგურის ნაზვავს ქვიშრაპიანს ნაპირზედ მივდიოდით, ხან პატარა ველიანებზე, მაგრამ ხან მაღლა ავდიოდით მშვენიერ ჩრდილოვან ტყეში და გამწკრივებულნი ერთმანეთს მივსდევდით. გზა-გზა ხშირად ვხედავდით ყავრის გროვას. რაკი მდიდარი ტყეებია ენგურის გაღმა-გამოღმა, სიპის მაგიერ აქ ყავრითა ხურავენ სახლებსა და სხ. შენობებსა. რამდენიც ქვეით მივდიოდით, ენგური თანდათან იზრდებოდა და ალაგ-ალაგ გაივაკდება ხოლმე, პატარა წყნარად მიდიოდა და ერთმანეთთან ლაპარაკი შეგვეძლო.

იფარის საზოგადოებაში სულ ოთხი პატარა სოფელია—იფარი, ბადრეში, ზეგანი და ნაკიფარი. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: ქურდიანი, კორძაიანი (კორძაია), ხორგიანი, გულბანი, ფარიანი, ხვიბლიანი, კოჩუანი, ჰირიანი, სულაანი და ხვისტანი.

მდინარე ენგური აქაც ვიწრო ხეობაში ძალიან შეხუთულია. მაგრამ ჩრდილოეთის ცივი ქარები აქ ეგრე რიგათ ვერ უდგებიან, მოყუდროებული ხეობაა და ამიტომ სახნავად გადაქცეულ კლდოვან ფერდობებზედ და აქა-იქა პატარა ვაკეებზედ—მშვენიერი დაოდოშლერებული ყანები და შემოსული ქერები ვნახეთ. მეტად გვესიამოვნა საცოდავი სვანების ასეთი ბედნიერება. უშკულ-კალელები შურის თვალით უყურებენ იფარელებსა და სხ.

შებინდდა და მივედით კიდეც ს. ბოლრეშში. იმ ღამეს შევეხიზნენით ახალგაზრდა მასწავლებელს ბ-ნ ხუციშვილს. აქვე სკოლაში სცხოვრობს ადგილობრივი მღვდელიც, რომელთაც თავი მოუყარეს მომღერლებს და თორმეტამდე სხვა-და-სხვა სიმღერა ჩაუძახეს ბ-ნ ფალიაშვილის გრაფოფონსა. მეორე დილით გავხედ-გამოვხედეთ დასავლეთისაკენ; იქვე ჩვენის ეზოს მარცხნივ მაღლობზედ ამართული იყო მშვენიერი ციხე. გვითხრეს ამ ციხეში ბევრი ტყავზე ხელნაწერიაო. თურმე ამ ციხის პატრონის მამაპაპანი ოდესმე პაპებად ყოფილან და მათი და ნარჩომი საეკლესიო წიგნები მათს შთამომავლობას ცხრა კლიტულში აქვს შენახული—ციხის მაღლა ოთახში; თვალითაც არ დაგვახედეს ზედ იმ ხელნაწერებსა. რას ვიზამდით, ახირება არ გამოდგებოდა და ისევ წმ. გიორგის საყდრისაკენ გავწიეთ.

საყდარი უძველეს დროის ნაშენია თლილი ქვისაგან. საყდარს სამი მხრივ მიშენებული აქვს სამხრეები—ორი მხრივ სამწირველოებით და გარს უვლის საყდარს გაჰვარტლული ქვის თაღი. რუისის ღვთაების ტაძრის ჩრდილოეთი სამწირველო მომაგონდა, თუმცა ერთიორად პატარაა. აღმოსავლეთის კედელი (ფასადი) გარედგან შემკულია მშვენიერის ჩუქურთმით თლილის ქვისაგან: სამი მოგრძო თაღ-გადავლებული ერთმანეთზედ გამოკვეთილია ფანჯარასავით თახჩები; მარჯვნივ გამოყვანილი—არჩვის თავი, ორი ხარის თავი, სამიც ცხვრის თავი; მარცხნივ ლომის თავი და ირმის რქიანი თავი; შუაზედ ყელ-მოღერებული ირმის თავი დიდის რქებით. ამის დასწვრივ მშვენიერი ფანჯარაა.

სამხრეთის მხრივ რომ შეხვალთ სამხროში, აქ თქვენს ყურადღებას იქცევს—დიდი ციხის თოფი (ჯაზეირი), ბუკი, და პაპის ყავარჯენი ჯოხი, ჭდეებით აჭრელებული. საყდარი მთლად მოხატულია X—XI საუკ. ხელოვნებით. სასიამოვნო სანახავია დასავლეთის კედელზედ წმ. გიორგის ლურსმებიან ურმის თვალზედ დაკვრა. მარჯვნივ დგანან ორნი გვირგვინოსანნი (დეოკლიტიანე ცოლით); საკურთხევლის თაღში მაცხოვარია ხელში სახარებით დახატული, აქეთ-იქით—იოანე ნათლის მცემელი, ღვთის მშობელი, მოციქულები და მღვდელმთავრები. კანკელი, ჩვეულებრივ თლილის ქვისაა, მარტო აღსავლის კარებით.

აქ ტაძრის მოზრდილი ხატი ოქრო-ვერცხლით შეჭედილია წარწერით: № 48. „ქ. წმიდაჲ გიორგი (წ˜ჲ გ˜ჲ) იფარისაჲ. შეიწყალე ფაჯნა და მეფე ჲან".

№ 49. „ქ. მოიჭედა ხატი ესე წმიდისა გჲორგისა იფარისა ჩემ მარუშის მიერ სალოცველად და სალხრად სულისა ჩემისა დღესა მას განკითხვისას ჩემითა ოქროჲთა და ვეცხლითა". დაბლა—„კელითა ოქრომჭედელისათა"...

ყოველს ეჭვს გარეშე, ეს ხატი ეკუთვნის X საუკ. დამლევს. ხმარება ასო „ჲ" „ი" ნაცვლად ამისი უტყუარი საბუთია.

ეს წარწერა ბარტოლომეისგან გადმოღებული ბროსსეს ჰქონია ხელში და «მარუშის» კითხულობს შეცდომით «მარუხის». ამ საყდრის მღვდლის სახლში ჩვენ ვნახეთ პატარა უთავბოლო ტყავზე ნაწერი, რომელიც წარმოადგენს «შეხვეტილს», ანუ საღმრთო წერილისა და წმ. მამათა თხზულებათაგან გამოკრებულს შესანიშნავ აზრებს [1]). ამ ხელნაწერისა რამდენიმე ფურცელი-ღაა—პალიმსესტი. გამოკრებული აზრები ამ წესით არის: «მამისა ესაიხსნა» (4 აზრი [2]); „მამისა ისაკისი" (9 აზრი); „თქმულთაგან მარკოზ (მ˜რკზ) მონაზონისათა" (10 აზრი); „თქმულისაგან სტეფანე მონაზონისათა" (14 აზრი). ამის შემდეგ სარჩევია მოყვანილი. „ამას წმიდასა წიგნსა წერილ არიან სატყუჲსანი ამათ წიგნთანი: ა) სახარებისანი მუხლნი, ბ) პავლეს ებისტოლისანი; გ) იაკობის კათოლიკეთანი იბ; დ) პეტრეს კათოლიკეთანი ია; ე) იოვანეს კათოლიკეთანი ზ; ვ) იუდას კათოლიკეთანი ბ; ზ) სოლომონის იგავთანი დ; თ) ისო ზირაქისა იგავთანი მთ; ი) პანარატოსისნი გ; ია) ეკკლესიასტესნი ჲ; იბ) მეფეთაჲსაჲ ა; იგ) იობისნი გ; იდ) ეზრაჲ სოვთილისანი ჲ; იე) ესაჲაჲ წინასწარმეტყველისანი იდ; ივ) იერემია წინასწარმეტყველისანი თ; იზ) იოანე ოქროპირისანი ჲა; იჱ) ბასილი დიდისანი ჟ; ით) გრიგოლ ღვთისმეტყველისანი ე; კ) ათანასი ალექსანდრიელისანი გ; კა) კვრილე ალექსანდრიენისანი ა; მამისა იოანესნი რე; კბ) მამისა დორესნი (დოროთესნი?) იგ; კგ) მამისა ეფრემისნი და კდ) მამისა ესაიასნი ჲ; კე) მარკოზ მონაზონისანი ჟ; კვ) სტეფანე მონოზონისანი იდ".

ამ სარჩევს ზედ მოსდევს შემდეგი საინტერესო წარწერა: „ადიდენ [3]) ღმერთმან (ღ˜ნ) გიორგი (გ˜ი) მამა მთავრისა მრიელისა პამეხთა(?) ბრძანებასა მათსა აღწერს ესე ლავრას დიდსა შატბერდსა და

---

*) იხილე „ივერია", 233.

[1] ეს კრებული დიდად ჰგავს „დამაკვირდის", „ივერიის" რედაქციამ რომ დაბეჭდა ადრევ.

[2] ხაზ გასმული წითელი მელნით არის.

[3] ხაზ გასმული წითელი მელნით არის.

ფელეტონი

⁂

ტაშა უკვრენ ზღვის ტალღები,
ნაპირს ეჯახებიან...
ხმელზედ ცვივა წვეთები,
მზე შუქს ჰფენს, წამს შრებიან.
ზვირთი ხტის და თამაშობს,
ზვირთი ცრემლად იფრქვევა,
გულზედ ჯვრად აჭდევია
ცის წყევა და კურთხევა.
ვარსკვლავები ანათენ,
დარაზმულა სხივთ ჯარი..
მიწა ცივია, ბნელი,—
სიბნელეში ჩამდნარი...
ვფიქრობ: როს ჩემი გული
მის გულს დაეკარება,
ვაიმე თუ ვერ შესძლოს
ჩემი ცეცხლის ტარება.

ბ. ახოსპირელი.

⁂

სიცოცხლეც მწყურის, სიკვდილსაც ვნატრობ,
ორ წყალ შუა ვარ გაჩერებული;
თითქოს დავეძებ, რაღასაც ვლამობ
აღშფოთებული, გამწარებული!
ვის-ღა მივენდო, ვის უხსნა გული,
ტანჯვა ვაებით დაწყლულებული?
ვინ განმიკურნოს, ვინ დამიმშვიდოს
იმედ-გაწყვეტილს მკვნესარე სული?!
მინდა მიყვარდეს, მინდა ვიწამო,
სულით გავმხნევდე, გულს მივცე ძალა;
მაგრამ სად ვპოვო ის ნაპერწკალი,
რომელიც ჩემში უკვე ჩამქრალა.
მინდა აღვმართო დროშა სიმართლის,
მოძმეს და ჩაგრულს ცრემლი მოვწმინდო,
რისხვით დავეცე მტრისა ბანაკსა,
მას შევებრძოლო და შევეჭიდო;
მინდა მოვსწყვიტო ცაში ვარსკვლავი,
ფარნად ვიხმარო, ქვეყნად ვიფრინო,
რომ თანასწორად უძლურთ, დავრდომილთ
გულს შეება, მადლი უხვად მოვფინო.
მინდა აღვაგო წმინდა ტაძარი
მსხვერპლად შევსწიროთ ეს წრფელი გული,
ღმერთად დავსახო და აღვიარო
ძმობა, ერთობა და სიყვარული.
მაგრამ ვაჰმე რომ გულსა გაყინულს
მხოლოდ-ღა ათბობს ცრემლი მდუღარე!..
სატრფომ მომწამლა, შხამი შემასვა
და გულს დამასვა სევდა მჭმუნვარე!

ლეო.

რათა გგონია

რათა გგონია, რომ შეჩერდა
შენდამი გრძნობა?!
ბევრიც ეცადნონ, არვის ძალუძს
მის გამოცნობა.
მანამ ცოცხალვარ
და იფეთქებს ამ მკერდ ქვეშ გული
გწამდეს ეს ჩემგან,
მე ვიქნები შენი ერთგული.
შენა ხარ ჩემი პოეზია
და იდეალი;
შენ ხარ მიზეზი, თუ კიდევ ჟღერს
დღეს ჩემი ჩანგი;
შენ თვითონ ხედავ, არ მაქვს ღონე
ცხოვრების გზაზედ
მაგრამ-კი არა,—სულ ვიცინი,
არ ვჩივი მაზედ.
ამ ჩემს, გრძნობას ვერ მისწვდება
ზოგთა გონება,
ვერ მიხვდებიან და ნურცა სურთ
მის გაგონება.
ეს არ ეგონოთ ზოგიერთთა
მაცდური ტრფობა
ან დროებითი, სამასხარო
გულის გართობა!..

კნ. ნინო ორბელიანისა.

ჰეინედგან.

მაგიდას უსხდნენ და ჩაის სვამდნენ,
სიყვარულზედა ჰქონდათ ბაასი;
კაცები ჭკუით ამპარტავნობდნენ,
ქალთ სიკეკლუცეს არ ედო ფასი.
«უნდა გვიყვარდეს პლატონიურად»,
იწყო გოფრიტმა ხმა მაღლა განზრახ,
ცოლს გაეცინა ირონიულად,
ამოიოხრა მწარედ და სთქვა: «ახ!»
მღვდელმა-კი ბრძანა: «კაცს არა ჰმართებს
აჰყვეს სიყვარულს გატაცებითა,
თორემ იგი მას დაასნეულებს».
გასათხოვარმა შენიშნა: «რითა?»
«სიყვარულია ვნებათა ღელვა»,
სთქვა გრაფინიამ გულის ტკივილით;
შემდეგ ბარონსა ჩაი მიართვა
და გადახედა ნაზის ღიმილით.
ჩემო ცუცუნავ, რა იქნებოდა,
რომ ყოფილიყავ შენც მიწვეული,
შენ მათ მშვენივრად დაუმტკიცებდი,
რაც არის ტრფობა და სიყვარული.

ი. ბაქრაძე.

ვილიამ მეფე *).

(ნათარგმნი)

აურაცხელსა თავის სიმდიდრეს
ათვალიერებს მორჭმით მფლობელი;
მის წინ აწყვია უხვად ზურმუხტა,
ლალ-ალმასი, ფას-დაუდებელი;
ოქროს ზოდებიც მაცდურად ბრწყინავს,
მაგრამ უცქერის ყველაფერს სევდით:
„მე შენ გიყიდე, ჩემო სიმდიდრე,
დიდის სისხლის ღვრით და ჭაპან-წყვეტით;
ბევრი მიცქერის შურის თვალითა,
გაკვირვებული ჩემის დიდებით,
მაგრამ ბავშვურსა უზრუნველ ძილზე
გაგცვლიდი დიდის სიამოვნებით!.."
უკვრენ ნაღარას, დროშა ფრიალებს,
ყველგან მზის შუქზე ხმლები ელვარებს,
მაღალ კოშკიდამ ვილიამ მეფე
თავის საყვარელს ჯარსა დაჰყურებს.
იმისი ჯარი ბევრ ჭირ-ნანახი
დიდ ხნით ომშია გაბრძმედებული,
და იცის მეფემ, რომ მტრის წინაშე
არ შეუდრკება იმას მხნე გული,
მაგრამ არ ხარობს მოსალოდნელის
თვის ჯარის მტრებზედ ის გამარჯვებით:
„ერთგულო ჯარო! კარგს მეგობარზე
ეხლავ გაგცვლიდი სიამოვნებით!.."

—

ვილიამ მეფე სდგას სასახლეში
და ფანჯრებიდგან გაიცქირება.
დილის მზის სხივნი მწვანე ველებსა
მის თვალწინ ნაზად ელერსება.
იქით მთებია, აქეთ მინდვრები,
აგერ ტყეები და იქ მდინარე,
და ამბობს: „რა რიგ მომხიბლავი ხარ,
დამონებულო ჩემ-მიერ მხარე?!.
ჰო, შენ ჩემი ხარ!! შენსა მბრძანებელს,
რა უნდა ჰქონდეს სხვა სანატრელი?!.
მაგრამ მზადა ვარ წმინდა სვინდისში
მივცე სიმდიდრე შენი ყოველი!"

ი. ჩ—ელი.

---

*) ნორმანდიის მთავარი, რომელმაც ძველად ინგლისი დაიმორჩილა.

ესეცა წმიდათა მოწამეთა და მამათა საკითხავნი".

გიორგი მრჩველი (რუისის ეპისკოპოზი) ჩვენ ერთი ვიცით და სცხოვრებდა დაახლოვებით 996—1042 წლებს შორის. ამ ხელნაწერს თავიდგან აკლია 8 რვეული, ანუ 108 გვერდი; შემდეგ ორი საკითხავია ამ სათაურებით: „თქმული წმიდისა მამისა იოანე დამასკელისაჲ შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა და მამათა და გვერრესაჲ შათი იკითხო ყოველთა შაბათთა, და ოდესცა გინდეს გ'ნ. შემდეგ: „არამედ ჯერ არს რათა მცირედ რაჲმე ვაკსენეთ ჩვენ დაუწყნიცა იგი წმიდათა მამათანი.

(შემდეგი იქნება)

მღ. პ. კარბელაშვილი

ჩვენებური ამბები

ლეჩხუმი. ქურდობა მიწისა. —ბეზღობა შურის-ძიების გამო.—გაზეთის თანამშრომელთა დევნა.

არა თუ მაზრა, რომელიც რამდენისამე ათასის ოჯახისაგან შესდგება, ვერც ერთი რიცხოვანი ოჯახი ვერ დაასაბუთებს იმას, რომ ერთი ან ორი, ზნეობრივად დაქვეითებული, ანუ ფიზიკურად დამახინჯებული წევრი არა ჰყავდეს. ლეჩხუმიც, რასაკვირველია, ვერ წარმოადგენს იმის საბუთს, რომ მის სამაზრო ოჯახის კრებულთა შორის არ ერიენ ისეთნიც, რომელნიც დაბალ საფეხურზე სდგანან ზნეობრივ სიფაქიზისა და სიწმიდის მხრივ... და წარმოადგენენ ამ მხრივ ოჯახის ზნეობრივ ავტორიტეტის დამამდაბლებელ და შეურაცხმყოფელ ავტორიტეტს...

დიაღ, ლეჩხუმში ძველადგანვე, ჩვენდა სამარცხვინოდ, შენიშნულია მძვინვარება ადამიანის ზნეობის საზიზღარის სენისა—ქურდობისა... ეს სენი, რასაკვირველია, დასაწყისიდგანვე მაზრის ოჯახის შვილთა უმცირეს ნაწილს ჰქონდა მოდებული და შესისხლხორცებული.—თეორიული მოსაზრება იმედს გვაძლევდა, რომ დროთა ცვლილება, სწავლა-განათლების მოფენა და გავრცელება ხალხში, რომელიც ზნეობრივადაც უნდა ამაღლებდეს და აკეთილშობილებდეს ადამიანს, განმკურნებელს წამალს დასდებდა ჩვენის მაზრის ზნეობრივად დაავადებულს შვილთა. მაგრამ ეს იმედი არ გაგვიმართლდა, ალბად იმიტომ, რომ ესეთი ზნეობრივად ამმაღლებელი სწავლა-ცოდნა ლეჩხუმისათვის არავინ გამოიმეტა...

დრო თუ გამოიცვალა, ძველის დროის შედარებით თუ ხალხის გონებრივის მხრივ მდგომარეობამ ფერი იცვალა, ზნეობის გათრყვნა-ქურდობამაც სახე და თვისება გამოიცვალა. აქამდის თუ ცხენ-ჯორს, ხარსა და ფურს [illegible] ხარკად ძველის დროის ტიპის ქურდობა, ეხლა უძრავი ქონება—ადგილ-მამული მოითხოვა, რადგან უფრო გამრიელ და ნოყიერ ლუკმად მიაჩნია...

ძალიან გახშირდა ჩვენში მიწის ქურდობა; და ეს ქურდობა ისეთის ფორმებით, ისეთის მოხერხებულის «ჟულიკურის» ხრიკებით სრულდება ხოლმე, რომ გაქურდულს გამქურდველისადმი საყვედურის თქმაც ვეღარ შეუბედნია... მაგალითად, აღვნიშნავ თავ. გელოვანების საერთო მამულის ლეხრის გამიჯვნის დროს ჩადენილს იურადიულის მანტიით შემოსილს ქურდობას. «ივერიის» მკითხველებმა უკვე უწყიან წინანდელ ჩემის წერილებიდგან, რომ გელოვანებისაგან ჩვენებურის ნასყიდობით შეძენილი ჰქონდათ გლეხებს ზემო აღნიშნულს მამულში რამდენიმე ქცევა სახნავი და ტყიანი ადგილები. ეს ადგილები უნდა დაემიჯნა მათთვის გამიჯვნის ინსტიტუტის მიერ წარმოგზავნილ მიწის მმიჯნავს. გულითადის მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ გლეხ-კაცობაში, ამ ღვთის ხალხად ცნობილ კრებულშიაც იჩინა თავი ზნეობის, სინიდისისა და ნამუსის დამამცირებელმა ანგარებით მოსილმა საქციელმა.

მაგ. ვისაც ათი ქცევა ჰქონდა ნაყიდი და ეს ზომა უნდა დაემიჯნა თავის საკუთრებად, თუ მეტი არა ათი დესეტინა მაინც დაიჩემა და შემოიყოლა. ამნაირად მიყიდულზე მთელ ნახევარზედ მეტი მიითვისა; ჩვენებურად რომ ვსთქვათ, მოიპარა...

სიმართლე გვავალებს არც ის დავსტოვოთ აღუნიშნელი, რომ კუთვნილზე მეტის მითვისების სურვილი მარტო გლეხებს არ გამოუჩენიათ, არამედ ზოგიერთმა მემკვიდრეობით მონაწილეებმაც არ იუკადრისეს ესეთი უსამართლო საქციელი და თავის მოქმედების დედა აზრად აღიარეს... მიწის მპარავნი დარწმუნებულნი არიან, რა-კი თავიანთ საწადელს მიაღწიეს და რომ ერგებოდათ, იმაზედ ერთი ორად მეტი შემოიყოლნეს, აწი ხმას ვეღარავინ გასცემს, კანონიერი პატრონი წარიმეუდი! მამულისა კრინტსაც ვერ დასძრავს და, რომ დასძრას, არავინ გაუგონებს...

დაზარალებულნი-კი ასე ფიქრობენ: ქურდობა, რა გვარის ფორმის სამოსლითაც უნდა იყოს მორთული, მაინც ქურდობაა;.. და როდესაც თვალსაჩინოდ გამოსულია, ვერა გვარმა ფორმამ ვერ უნდა უშველოს მართლმსაჯულების წინაშე, ქურდს სასტიკად უნდა მოეპყრან და ნაქურდალი კანონიერს მეპატრონეს უნდა დაუბრუნონ და სხვა... რომლის აზრი უფრო საყურადღებოა? რომლის აზრი გაიტანს ეხლანდელ ცხოვრების ბრძოლის ველიდამ გამარჯვების დროშას, ეს თვით თქვენ იგულისხმეთ, მკითხველო.

ბეზღობა, ცილის-წამება, მედანოსეობა ისეთივე სათაკილო და საზიზღარი სენია ადამიანის ზნეობისა, როგორც ქურდობა. ეს ორგვარი ზნეობრივი სიწამხდრე და უწმინდურობა, რომ ერთი-მეორეს შევუფარდოთ, მგონია, იმ აზრს დავადგეთ, რომ ისევ ქურდობა უფრო ადვილად მოსანელებელი სენი უნდა იყოს... ბეზღობა საიდუმლო მკვლელობაა კაცისა; მაბეზღარი თავის მოპირდაპირეს ვაჟკაცურად შეხვედრას ვერ უბედავს, ვერ ეჩვენება. იცის, რომ მისი ჩირქიანი იარაღი სინათლეში არ გამოადგება, ვერ გასჭრის; ამიტომაც იგი მიისწრაფის სიბნელისაკენ თავის დასამალავად. და ბნელით მოცულის სოროდამ სცდილობს თავის საბრალო ადამიანის ზნეობრივად დაცემასა და მოკვლას. მაბეზღარი, რომლის სული და გული სავსეა შურისძიების გესლით, ადგენს თავის უწმინდურის გულის სიღრმეში ათასგვარ საზარელ ცილის-წამებით შეთხზულს დანოსებს და გზავნის ფარულად, სადაც ჯერ არს, რომ თავის მიზანში ამოღებული კაცი ზნეობრივის მხრივ მოკლას, დასცეს მთავრობისა და საზოგადოების თვალში.

ამიტომაც ბეზღობა, „დანოსობა", ყველა ზნეობრივად ამაღლებულს ხალხში დიდიხანია უარყოფილი და შერცხვენილია. ჩვენში-კი ეხლა შემოიღეს ამ სამარცხვინო იარაღის ხმარება. ამის წინად ერთს ჩვენებურ ღირსეულ კაცზედ გაგზავნეს დანოსი, სადაც ჯერ არს, და ისეთ სათაკილო საქმეების ჩადენას აბრალებენ, რომლის მსგავსი სიზმრადაც არ მოსჩვენებია. საძაგელი ცილის წამება შეთხზულია, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ დაბეზღებულს აღარ მისცენ ის თანამდებობა, რომელსაც მოელოდა და რომელიც სამართლიანად ერგებოდა. გაიმარჯვებს მაბეზღარი თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ხოლო ზნეობრივის მხრივ რომ ძალიან დაქვეითებულა ასეთის ხელობის მიმდევარმა კაცებმა, ეს-კი [illegible] გვაჩვენა.

არიქნა და არა, ლეჩხუმის ბობოლაებმა ვერ შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ მწერლები, ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლები უსაქმო, მოცლილნი და პირადის მტრობა-მოყვრობის მიმდევნი ხალხნი არ არიან, რომ მათი თანამდებობა ბობოლაების თანამდებობაზე უფრო მაღალი და ნაყოფიერია, რომ თითოეული მწერალი, რომელიც სინიდისიერად ასრულებს თავის მწერლურ მოვალეობას, იგივე საპატიო საერო მოღვაწეა. არა, ასეთი აზრი ამ ვაჟბატონებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ხილია... ამ დალოცვილებს პრესის წარმომადგენელნი, ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი, მედანოსეები ჰგონიათ... პეტრე და იუდა ერთი მეორისაგან ვერ გაურჩევიათ, ორივე ქრისტეს გამყიდველად მიაჩნიათ!.. და როგორც იუდაზე, ისე პეტრეზე მოულესიათ კბილები, ამხედრებულან დონითა თვისითა და დედამიწის ზურგიდან გაქრობას ექადიან.

ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც ერთმა ლეჩხუმელმა ქალმა დრო გამოშვებით დაიწყო წერა «ცნობის ფურცელში» ლაჯანელი ბანოვანის ფსევდონიმით. იუცხოვეს ეს ამბავი ლეჩხუმის ბობოლაებმა და მიიტანეს იერიში ზემო ხსენებულ მანდილოსანზე, როგორ თუ შენ გაზეთში წერა გაბედე და ჩვენი მყუდრო და ეგოისტური ცხოვრება შეარყიეო. დაუშინეს სეტყვასავით შემაძრწუნებელის ლანძღვა-გინებით აღსავსე ხელ-მოუწერელი ბარათები; ამასაც აღარ აჯერებენ საცოდავს ახალგაზდა ქალს და უნდათ თურმე არა კეთილ საიმედო, საეჭვო ადამიანად დასახონ და ამნაირად დასაჯონ ზნეობრივად უდრეკელი ადამიანი. ჩვენ დიდის სიამოვნებით მივეგებებით ბანოვანის დებიუტს «ცნობის ფურცელში». იქნება ღმერთმა ინებოს და ლაჯანელმა ბანოვანმა სამწერლო ნიჭი გამოიჩინოს, განვითარდეს, ლეჩხუმიდამ ერთი-ორი თანამშრომელი მაინც ეყოლოს ჩვენს პრესას მეთქი. მაგრამ ლეჩხუმის ბობოლაებმა-კი სულ სხვა თვალით დაუწყეს ცქერა ამ გარემოებას...

ქაიხოსრო გელოვანი.

უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც გაზეთები იუწყებიან, პარიჟში გამოჩენილა ახალი მოცილე საფრანგეთის ტახტისა. გენერალ ფრანცისკო ბურბონელს, ანჟუის ჰერცოგს (ესპანიის მეფის ბიძაშვილსა და ანჟუელის პირდაპირ შთამომავალს) განუცხადებია,—მე ვარ საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეო. ამ ახლად მოვლენილ მემკვიდრის მომხრეთ უკვე შეუდგენიათ კომიტეტი, რომელსაც „დიდის საფრანგეთის როიალისტთა დასის ეროვნული კომიტეტი" უწოდეს. ამ კომიტეტს გამოუცია ამ დღეებში მანიფესტი, რომელიც მოუწოდებს ყველა ფრანგთა, შეუერთდით ჩვენს დასსაო. როგორც ამ საბუთიდგანა სჩანს, გენერალ ბურბონელს განზრახვა აქვს, თუ ნებით არა, ძალით მაინც ჩაიგდოს ხელში საფრანგეთის ტახტი. მანიფესტზე ხელი უწერიათ ჟერის დეპუტატს ლაზისს, ყოფილ დეპუტატს შარლ ბერნარსა, გენ. რებილიოს და სხვათა მრავალთა.

—ნოემბრის 7-ს (ახ. სტ.) საფრანგეთის პალატის დეპუტატთა კრებაზედ ჟორესი შეეკითხა მთავრობას არმანტიერში მომხდარ გაფიცვისა და მუშათაგან სამედიატორო სასამართლოს უარყოფის შესახებ. როგორც ვუწყით, თვით მთავრობამ მისცა წინადადება მუშებს,—სამედიატორო სამართალს მიანდეთ თქვენსა და მრეწველ-მწარმოებელთა შორის ატეხილ დავის განბჭობაო, მაგრამ მუშები არ დასთანხმდნენ.

ჟორესი ბრალსა სდებდა მრეწველ-მწარმოებელთ,—არ შეუსრულეს მუშებს წინად მიღებული ვალდებულებანი და ამნაირად გაიტეხეს სახელი, დაჰკარგეს მუშების ნდობა; ესაა მიზეზი, რომ მუშები ახლა სამედიატორო სამართალზე უარს არიანო. ორატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ არმანტიერის მუშებს მეტად მცირე სასყიდელი ეძლევათ და გაჭირვებულ მდგომარეობაში არიანო. ჟორესმა წინადადება შეიტანა, გაიმართოს ხელახლად მოლაპარაკება მუშებთან, რომ მათი დავა სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს და არჩეულ იქმნას კომისია მათის მდგომარეობის გამოსაკვლევადაო.

ჟორესის შემდეგ ილაპარაკა ლიბერალ დანსეტმა, რომელიც მწარმოებელთ გამოესარჩლა. ორატორის აზრით, მუშათა უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი ის კრიზისია, რომელშიაც ამ ჟამად ბამბეულობის მწარმოებელნი იმყოფებიანო. ვაჭრობათა მინისტრმა ტრუილომ განაცხადა,—მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა მწარმოებელთა და მუშათა შორის ატეხილი დავა სამედიატორო სამართალმა გადასწყვიტოს ხოლმეო. მინისტრი სავსებით მიემხრო ჟორესის აზრს,—საპარლამენტო კომისია იქმნას არჩეული მრეწველობის ამ დარგის მდგომარეობის გამოსაკვლევადაო.

კრების დასასრულ მიღებულ იქმნა განაჩენი 512 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 2-სა, არჩეულ იქმნას საპარლამენტო კომისია და გაიმართოს მოლაპარაკება მუშებთან, რომ სამედიატორო სამართალს დაჰყაბულდნენო.

ავსტრია-უნგრეთი. უნგრეთის საპარლამენტო მდგომარეობა ისევ უარ-და-უარ მიდის.

წარსულ ორშაბათს კოშუტის საპასუხო სიტყვაში მინისტრ-პრეზიდენტმა ტისსამ მოიხსენია ის დაპირებანი, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კოშუტის მომხრეთ ხელი უნდა აეღოთ ობსტრუქციაზედ. ტისსას სიტყვამ ვერ დააკმაყოფილა კოშუტის მომხრენი; საარჩევნო რეფორმის შესახებ მინისტრ-პრეზიდენტი იმ აზრისაა, რომ უნგრეთი მხოლოდ ახალ საარჩევნო ოლქებად დანაწილდეს. ტისსა უარსაა აგრეთვე, რომ სახალხო სკოლები მხოლოდ მდიდართა ეროვნულ მისწრაფებათ ემსახურებოდეს, როგორც კოშუტი თხოულობდა. მაგრამ ყველაფერზედ უფრო დიდი უკმაყოფილება ტისსას იმ განცხადებამ გამოიწვია, რომ უნგრეთა ჯარებში ბაირაღებზედ არა მარტო მადიარული ნიშნები უნდა იქნეს, არამედ ავსტრიისაცაო. ამიტომ ტისსამ მიჰმართა ოპოზიციის დასებს ნუ განაგრძობთ ბრძოლას ისეთ ინტერესთა გამო, რომელნიც არა ჰღირს, რომ ერმა მათთვის თავი გასწიროს და ტყვიას მიუშვიროს მკერდიო. ამგვარ საქციელით საშინელს ხიფათში ჩავაგდებთ მთელს ერსაო. გრაფ ზიჩიმ განაცხადა, კათოლიკეთა დასის სახელით,—თქვენი ნდობა არა გვაქვს, მაგრამ ქვეყნის მშვიდობიანობისათვის ხელს ვიღებთ ობსტრუქციაზეო. კოშუტის მომხრეთ-კი სრული თავისუფლება მისცეს თავიანთ წევრთ ობსტრუქციის შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტს ყველაზედ უფრო ის აფიქრებს, რომ კოშუტის მომხრეთა უმრავლესობას გადაწყვეტილი აქვს ობსტრუქციის მოხდენა და ამის გამო მოლაპარაკებაც აქვს გამართული კლერიკალთა დასებთან საერო მოქმედების შესახებ.

მაკედონია. ოსმალეთი რეფორმების შემოღებას მხოლოდ სიტყვით აპირობს და არა საქმით. უცხო სახელმწიფოთა არწმუნებს, მაკედონიაში სრული მშვიდობიანობა სუფევსო. მაგრამ მაკედონია ისევ ცეცხლის ალითაა მოდებული. ოსმალო ილავები, რედიფები, ბაშიბუზუკები და ალბანელები წინანდებურად შეუბრალებლად და მკაცრად ჰმოქმედობენ.

კოსსოვოს ვილაიეტში აჯანყება არა ყოფილა, მაგრამ აქაც მძვინვარებენ ილავები. მათი საქციელი კომანოვოში სწორედ თავ-ზარ დამცემია: ოსმალოს ჯარის კაცნი სძარცვავენ, სტანჯავენ, სცემენ და ჰხოცავენ საბრალო მცხოვრებთ. ვინცკი წინ შეჰხვდებათ, გაუძარცვავსა და უცემელს არ გაუშვებენ. ტეტოვოსა და გოსტივარის მხარეს (ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ), სადაც ალბანელნი მცხოვრებნი სჭარბობენ, კაცს აღარ დაედგომება. კრიტოვოს, კოჩანის, შტიპისა და მალეშოვოს ოლქის მცხოვრებთ იარაღსა ჰყრიან, რასაც მხეცური და შეუბრალებელი ტანჯვა-წამება მოსდევს.

მონასტირის ოლქის სოფ. ტირნოვოში ჯარის კაცები სჩხრეკდენ გლეხების სახლებს; თვითონ გლეხებს ძვლებს ამტვრევდნენ და ჰხოცდნენ: რამდენიმე გაქცეული ოსმალებმა დაპირებით გადმოიტყუეს ბულგარიის საზღვრებიდგან. ისინიც დაბრუნდნენ სოფ. მალოვიშტეს და გულ-დამშვიდებით თავიანთ სახლებში დაბინავდნენ; უეცრად გარს ჯარი შემოერტყათ, გარეკეს სოფლიდგან ტყეში, მიაკრეს სათითაოდ ხეებზედ და იქამდე სცემეს, სანამ სუყველანი არ დაიხოცნენ; მერმე ასო ასოდ აჰკუწეს და აქეთ-იქით გაჰფანტეს ნადირთა და ყვავ-ყორანთა კერძად. სოფელ თიაფიტში ჯარის კაცები უფროსთა თვალის წინ აუპატიურებდნენ ბულგართა ქალებსა.

თეატრი და ხელოვნება

რუსული ოპერა. შაბათს ფიგნერის დასმა წარმოადგინა „დემონი" ბარიტონ ჯირალდონის მონაწილეობით. მშვენიერი ხმა აქვს ბ-ნ ჯირალდონის და დიდის გემოვნებითაც მღერის. სიმშვენიერე მისის ხმისა იმაშია, რომ იგი ყველა ფარდებში თანასწორის ძლიერებისაა და ასამაღლებლებში არ ვიწროვდება ძაფივით, ფართოდ იშლება და დარბაზში ზღვასავით იწყებს ხოლმე დენას. შესანიშნავის გამომეტყველებით დამღერა ბ-მა ჯირალდონმა ცნობილი ჰანგი „ნუ სტირ ტურფავ" და საზოგადოება ისე გამსჭვალა გრძნობით, რომ სამჯერ ათქმევინეს ეს ჰანგი. გარეგნობითაც დემონის შესაფერი გამომეტყველება აქვს.

დანარჩენნი მსახიობნიც კარგებიიყვნენ, განსაკუთრებით ბ-ნი რაისკი (სინოდალი) ფელდოროვი (გუდალი) და ქ-ნი გალცინა (თამარი).

მშვენივრად სთქვა ხორომ „ღამით". წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. ბ-ნმა ჯირალდონიმ დიდი ალტაცება გამოიწვია.

ბიბლიოგრაფია

Gli Armeni cattolici in eorgia
el e questioni fia cattolici Armeni e Georgiani.

(დასასრული *)

მესამე მოხსენების პასუხი.

ბ-ნი ავტორი ამ ნაწილში უფრო ვრცლად და დაჟინებით იმეორებს ამას, ვითომც ამ ოცი წლის წინედ ლათინის წესის მღვდლებმა ერი ლათინის წესზედ გადაიყვანეს და ქართველობა დაარწმუნესო. ზემოდ ჩვენი ამ საგანზედ მიცემული პასუხი ამისთვისაც კმარა. ზედვე დასძენს, რომ ამათი მტრობისა და ურიგოდ მოპყრობის გამო, ზოგიერთი სომხის კათოლიკეები გრიგორიანების ეკკლესიას შეუერთდნენო. სრულებით უსაფუძვლოა სომხების ორგულობის გამართლება ამნაირად ვინაიდგან ბევრი ხნით უწინ, ორმოცდაათერთმეტის წლის წინეთ, როდესაც ჯერ ხსენებაც არ იყო ქართველ ლათინის წესის მღვდლებისა, ზოგიერთი სომხის კათოლიკეები სტოვებდნენ კათოლიკე ეკკლესიას და გრიგორიანებს უერთდებოდნენ. ამისი უტყუარი საბუთიც გვაქვს. რადგან ეს ხშირი იყო და ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო მინისტრის ნება-თანხმობა, რაც, ცოტად თუ ბევრად, საქმეებს აბრკოლებდა. თავადის ვორონცოვის საშუალებით ნერსეს კათალიკოსმა მიმართა იმპერატორს და მოითხოვა საყოველთაო ნება-რთვა, რომელიც მინისტრმა გარდასცა მას 30 ივნისს 1852 წ., ამისათვის ქართველი ლათინის წესის პატრები არაფერს შუაში არიან სომხების კათოლიკობიდან განდგომის საქმეში. მაშ, უსამართლობა და ცხადი ცილის-წამებაა, რომ სომხების ორგულობის ბრალს ქართველ-კათოლიკეებსა სდებს.

მამა ნაჭკაპეტიანს თავისი თავი საკვირველ კრავათ მოაქვს და ამბობს, მუდამ დევნული და წამებული ვიყავი ტფილისის ძველის ეკკლესიის წინამძღვარისაგანო. საბრალო წამებული! იმას-კი არ ამბობს, სადამდინ იქ ვიყავ, ყველას სული ყელში მოვგვარეო, რაიცა ნამდვილია და რის თქმის ვალიც ჰქონდა, სიმართლის მოყვარული რომ ყოფილიყო; ფეხი შედგა თუ არა ეკკლესიაში, ბატონობა დაიწყო, ეკკლესიის წინამძღვარს არაფრად სთვლიდა, ყურადღებას არ აქცევდა, რაც უნდოდა, იმას მოქმედობდა და იმას ეწინააღმდეგებოდა ყველასფერში. ვრცელი წერილი მოუნდება, რომ ჩამოვსთვალოთ ყოველი მტრობა, რაც მან ჩაიდინა ლათინის წესის ერისა და წინამძღვრის მამა ყალაიჯევის წინააღმდეგ. ეს ამბავი საკმაოდ სჩანს თავის გამოცემულ წერილიდანაც, სადაც ვრცლად ჩამოსთვლის ყველა სიავეს, რაც-კი გაუგონია ტყუილი, თუ მართალი მამა ყალაიჯევის შესახებ. მის გასამტყუნებლად კმარა ეს გარემოება გავიხსენოთ: მამა ყალაიჯევი აგერ ოცდა ექვს წელიწადზედ მეტია, რაც ტფილისის ძველს ეკკლესიაში მსახურობს. უკეთუ ცუდი ვინმე ყოფილიყო, ან სასულიერო, ან სამოქალაქო მთავრობა მას ეკკლესიიდან განაშორებდა, ვითარცა უღირს პირსა. ხოლო მისი ეგოდენი წლის სამსახური ერთსა და იმავე ეკკლესიაში ამტკიცებს მის პატიოსნებას და პირუთვნელს მთლად ცილის მწამებელს მის მძრახველს.

მსგავსადვე მამა ნაჭკაპეტიანმა, უმანკო კრავმა, უსაფუძვლოდ ბევრი ძვირი სთქვა სხვა მოძღვართა შესახებაც და უფროს ერთად კაფუჩინ პატრ ევგენიოსისთვის, რომელმაც შარშან საქართველოში გამოიარა და ტფილისში ოთხ დღეს გაჩერდა. ამ ნაირად ბ. ავტორმა სამაგიერო გადუხადა ამ ყველასაგან დიდად პატივცემულს კაფუჩინს იმ გამოუთქმელ დიდის სიკეთისათვის, რომელიც მან მიაგო სომხებს 1895 წ., როდესაც თათრები უწყალოდ სომხებს ბუზებივით ხოცავდნენ. ამ კაფუჩინმა იმ ჟლეტის დროს ტრაპიზონში თავი გამოიდვა, ასობით სომხები სიკვდილს გადაარჩინა, თავის მონასტერ-ეკკლესიაში შეაფარა, იქ რამდენსამე კვირას ასვა-აჭამა და, როდესაც მათი სიკვდილის შიში აღარ იყო, მაშინ გაისტუმრა თავიანთ სახლებში. მამა ნაჭკაპეტიანის ცილის წამება მაინც ჩამოვთვალეთ. როგორი პატიოსანი და სიკეთის დამფასებელი ყოფილა!!

შესახებ იმ სამსახურისა, რომელიც ამ მეხიტარისტ მღვდელს ალექსანდროპოლსა და ტფილისში მრევლისათვის მიუგია, რისთვისაც მეტად თავს იქებს და თავისთავს დიდ სამოციქულო და მშვიდობის მომფენელ კაცად სახავს, შეგვიძლია ეს ვსთქვათ, რომ დღესაც დასტირიან დაკარგვას ასზედ მეტი კაცისას, რომლებიც ალექსანდროპოლის ახლო სოფლიდგან განშორებიან კათოლიკე ეკლესიას, და რომლების განშორების ერთი მიზეზთაგანი ბრძანებულა ეს დიდებული მისიონერი, მამა ნაჭკაპეტიანი: ტფილისში რომ თავის უმთავრეს საქმედ გაიხადა მტრობა, შური, ჩასმენა და ერის აღელვება ლათინის წესის მღვდლების წინააღმდეგ. ცხადია, ამისთანა მისი საქციელი მოეწონებოდათ მხოლოდ კათოლიკობის მტრებს, სომეხ გრიგორიანებს, რომლებთანაც მას დიდი განწყობილება ჰქონდა და ბევრ საგნებშიც მათ უახლოვდებოდა.

ბ. ავტორი აგრეთვე მეტად გათამამებული იქნება, კათოლიკობა სომხებში მუდამ დიდ წარმატების გზას ადგიაო; ჩვენ ამის გასაცრუებლად ვუჩვენებთ იმას, რაც «ცნობის ფურცელმა" „პეტერ. ვედომოსტიდგან" გადმობეჭდა თავის № 1541. 1901 წ.: ახალ-ქალაქის, ახალ-ციხის, ალექსანდროპოლის და ოლთისის სომეხ-კათოლიკეთ არ სურთ აღასრულონ რომის პაპის ზოგიერთი მოთხოვნილებანი, ბევრი ამ კათოლიკეთაგანი უმთავრესად ახალგაზდები, ეკუთვნიან ეგრედ წოდებულ ანტიჰუსნიტების პარტიას, რომელსაც არ სწამს პაპის უცოდველობის დოგმატი (უნდა იყოს შეუცდომლობის). ამას თურმე კათოლიკობის წარმატებას ეძახის. სხვა მეტ რას უნდა მოელოდეს კაცი ამისთანა თავგანწირულ მისიონერისაგან, რომელიც მხოლოდ სომხების და ყველასფერის გასომხებას ჰქადაგებს?

მღვ. მიხეილ თამარაშვილი.

---

*) იხ. «ივერია» № 233.

სასამართლოს მატიანი

პოლიცმეისტერის გასამართლება.

1 ნოემბერს ტფილისის სასამართლო პალატის სესიამ გაარჩია საქმე ქუთაისის პოლიცმეისტერის ლისოვსკისა. იმდენ საზოგადოებას მოეყარა თავი, რომ ვეებერთელა დარბაზში ტევა აღარ იყო. თავმჯდომარეობდა ვრასკი. წევრებად იყვნენ ვეგიძე და ორლოვსკი, ბრალსა სდებდა შულცი, ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი შევალიე. ქუთაისის პოლიცმეისტერს ბ-ნ ლისოვსკის, როგორც ოქმიდან სჩანს, ჰბრალდებოდა შემდეგი: ა) 26 ოკდომბერს 1902 წელს აზნაურის ივლიანე მესხის შეპყრობის დროს პოლიცმეისტერს უმიზეზოდ უცემნია იმისთვის, შემდეგ თოკით შეუკვრევინებია და თავშიშველა ახალუხის ამარა გაუგზავნია საპყრობილეში. ბ) ამ შეპყრობის დროს შეურაცხყოფა მიუყენებია პოლიციის უბნის ზედამხედველის საყვარელიძისათვის შემდეგის სიტყვებით: „**что же ты, стерва, не свяжешь его!**" და სხ. გ) შემდეგ, როდესაც მესხი საპყრობილეში იჯდა, ლისოვსკის საპყრობილის უფროსის მაჰმუდ-ბეგისთვის სამსახურის ასრულების დროს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია. უთქვამს „**ешакъ**"-ო, „შორნიკად ნამყოფ"-ო და სხ.

ამ საქმის გამო ოცზე მეტი მოწმე იყო დაბარებული. საპყრობილის მოსამსახურეებმა თითქმის ერთხმად აღიარეს ყველაფერი, რაშიაც ბ-ნს ლისოვსკის მაჰმუდბეგის შეურაცხყოფისათვის ბრალი სდებოდა. დანარჩენი მოწმეები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს. ერთნი ამტკიცებდნენ: როდესაც პოლიცმეისტერი ჟანდარმებითა და პოლიციელებით შევიდა მესხის სახლში, იქ ვახშმად ისხდნენ. ბევრი მაშინვე ფეხზე წამოდგა, ზოგიერთი-კი ისევ სუფრასთან დარჩა. პოლიცმეისტერმა დაუყვირა იმათ, „როგორა ჰბედავთ ჯდომას, როდესაც პოლიციის უფროსი თავზე გადგიათო" და ერთს მჯდომთაგანს ჯოხი ჰკრა და თავიდან ქუდი გადააგდებინაო. შემდეგ გაჩხრიკეს ერთი ოთახი, მაგრამ შიგ ვერაფერი ნახეს. მეორე ოთახში ნახეს დაკეტილი კიდობანი. პოლიცმეისტერმა მესხს გასაღები მოსთხოვა, მაგრამ იმან უთხრა: „კიდობანი დედა-ჩემისაა და გასაღები იმასა აქვსო". ამ დროს პოლიცმეისტერმა მესხს სახეში გაარტყა და უბრძანა პოლიციელთ იმისი შეკვრა. ამასობაში მესხის დედას გამოართვეს გასაღები, გაჩხრიკეს კიდობანი, მაგრამ შიგ ვერა იპოვეს-რა. შემდეგ მესხს ხელები თოკით უკან გაუკრეს და უბნის ზედამხედველმა და სამმა პოლიციელმა საპყრობილეში წაიყვანესო. რამდენმამე მოწმემ ისიცა სთქვა, როდესაც მესხი ჩივილს უპირებდა პოლიცმეისტერს, უკანასკნელმა კაცები მიუგზავნა მესხის ძმას და სთხოვა: შენმა ძმამ ჩივილს თავი დაანებოს; უარჰყოს, რომ პოლიცმეისტერმა ის გალახა და შეკრა; ამის მაგივრად განთავისუფლება ითხოვოს და პოლიცმეისტერიც განათავისუფლებინებსო. სხვათა შორის, პოლიცმეისტრის წინააღმდეგ ილაპარაკა პროკურორის ამხანაგმა ბ-ნმა მალინოვსკიმ და ორმა ჟანდარმმა, რომელთაც მესხთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. პოლიცმეისტრის მხრით ჩვენება ჩამოართვეს: პოლიციის ბოქაულს ტერ-ანტონოვს, უბნის ზედამხედველს საყვარელიძეს და რამდენსამე პოლიციელს. პირველმა, სხვათა შორის, სთქვა, რომ მესხისთვის პოლიცმეისტერს არ უცემია. არც საყვარელიძისთვის „**стерва**" უწოდებია; მართალია, ბაწრით-კი შეაკვრევინა მესხი, მაგრამ ეს საჭირო იყო, რადგან ბნელი ღამე იყო და შეიძლებოდა გაქცეულიყოო. თითქმის სიტყვა-სიტყვით განიმეორეს ეს დანარჩენებმაც, მხოლოდ ის-კი სთქვეს, მესხს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც გაქცევა დაუპირებიაო. როდესაც ამ მოწმეებს პირში წაუყენეს ორი ჟანდარმი, პირველნი სახტად დარჩნენ, მაგრამ თავიანთი სიტყვები მაინც არ გადასთქვეს.

ბრალმდებელი ბ-ნი შულცი თხოულობდა, პოლიციელების ჩვენებისათვის სასამართლოს არავითარი მნიშვნელობა არ მიეცა, რადგან ისინი ადგილის დაკარგვას შიშობენ და იმისთვის ლაპარაკობენ უფროსის სასარგებლოდაო. დამნაშავედ სთვლიდა ბ-ნს ლისოვსკის ყველა ჩამოთვლილ მუხლებში და თხოულობდა იმის კანონიერად დასჯას. შემდეგ ილაპარაკა ბრალდებულის დამცველმა ბ-ნმა შევალიემ. იმან, პირიქით, ითხოვა, პოლიციელების ჩვენებას მეტი მნიშვნელობა მისცემოდა, ვიდრე სხვებისას. „მათ პირველ გამოძიებაზედაც ისე აჩვენეს, როგორც ეხლა, და იმ დროს-კი პოლიცმეისტერი გადაყენებული იყო ადგილიდან და პოლიციელთ არავითარი ადგილის დაკარგვის შიში არ ექნებოდათ. იმ დროს არამც თუ მხარს დაუჭერდნენ პოლიცმეისტერს, კიდეც ეცდებოდნენ იმის დასჯასაო".

რამდენისამე წამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბ-ნი ლისოვსკი დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მისაჯა ორის კვირით საპყრობილეში დაპატიმრება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ოკდომბერი

ტაგანროგი. ორს ნოემბერს პოკროვის სადგურსა და კოშკინის ასაქცევს შუა ბოროტგამზრახველთ დააზიანეს რელსები, რის გამოც ბარგის მატარებელი № 73 გზიდამ გადავარდა; დაზიანდა 14 ვაგონი, მაშინისტი მძიმედ დაიჭრა, ხოლო მისი თანაშემწე და უფროსი კონდუქტორი მსუბუქად. ერთი პასაჟირი, რომელიც ჩუმად მიდიოდა, მოკლული იქმნა.

სკერნევიცი. 3 ნოემბერს დილით გარდაიცვალა პრინცესა ელისაბედი, დიდის ჰერცოგი ჰესსენ-დარმშტადტელის ქალიშვილი.

პეკინი. შეერთებულ შტატების მოთხოვნილებამ იჩუში ვაჭრობის გახსნაზე განცვიფრება გამოიწვია. იაპონიის და ინგლისის სეულელი ელჩები თხოულობენ იოგამპოს გახსნას.

ბოგოტა. კოლუმბიის პრეზიდენტმა სთხოვა ისპანია—ამერიკის რესპუბლიკებს დახმარება ომში, რომლის შემწეობით ფიქრობენ პანამის უკან დაბრუნებას.

4 ნოემბერი

პორტ-არტური. იაპონიის დიპლომატიურმა მოხელემ აღმოაჩინა, რომ რუსთაგან იაგამპოში აშენებული სიმაგრე ტყის მრეწველთა ამხანაგობის საწყობი ყოფილა. პორტ-არტურში რეალურ სასწავლებლის და საქალებო გიმნაზიის გახსნას ხელმწიფის მოადგილის თანადასწრებით დიდის ალტაცებით მიეგებნენ.

სოფია (სპეციალური *). იმის გამო, რომ 21 ნოემბერს მომხდარ არჩევნების დროს კვლავ შეიტანეს ისეთი სისტემა, რომელიც თავისუფალ განსჯას საკითხებისას შესაძლებლად არ ჰხედავს, ოპოზიციამ კერძო კრებაზე განიხილა საკითხი: მივიღოთ კრების მოქმედებაში მონაწილეობა, თუ განვაგრძოთ ბრძოლა. გადაწყდა, რომ ოპოზიციის მოვალეობაა, მიიღოს მონაწილეობა, რამდენათაც კი ეს შესაძლებელი იქნება. ამასთანავე დაადგინეს უკანონო მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი წარვადგინოთო.

ბერლინი. გერმანიის და საფრანგეთის ფინანსიურმა წრეებმა განიხილეს ერთად ბაღდადის რკინის გზის საქმე და ორთავე მხარე საკითხის შესახებ შეთანხმდნენ.—დანიის მეფე პრუსიის ჯარის გენერალ-პოდპოლკოვნიკად დაინიშნა.

სიმლა. ცხენით სეირნობის დროს ლორდ კიტჩენერი ცხენიდან გადმოვარდა და ბარძაყი მოიტეხა. მდგომარეობა მისი საშიშო არ არის.

პარიჟი. იტალიასა და ინგლის შორის შეიკრა პირობა, მსგავსი ინგლის-საფრანგეთის თანხმობისა სამედიატორო სამართლის შესახებ. გარეშე საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ინგლისის გაზეთებისაგან გავრცელებული ხმა, ვითომ საფრანგეთსა და სიამს შორის მისვლა-მოსვლა შეწყვეტილიყოს, ტყუილია, დამოკიდებულება მართლაც ცოტად გაძნელებულია, რადგანაც სიამი იგვიანებს შეიტანოს 1902 წლის ხელშეკრულობაში საფრანგეთისაგან მოთხოვნილი ცვლილებანი.

სტამბოლი. სულთანმა გამოსცა ირადე, რომ დათხოვნილ იქნას ყველა ბატალიონები რედიფთა, რომელიც მცირე აზიაში სათადარიგოდ ჰყავდა.

პეტერბურგი. სკერნევიცაში პრინცესა ელისაბედ—მარიამ—ალისა—ვიქტორია წლების ანთებით გახდა ავად; საღამოთი სიცხემ მოუმატა და გულმა უსუსტა, თუმცა ყოველნაირი საშუალება მიიღეს. პრინცესა გარდაიცვალა 9½ საათზე დილით. დაწვრილებითი აღწერა ავადობისა და გვამის გასინჯვისა გამოცხადებული იქნება.

---

*) ბულგარეთის ოფიციალური წრეებისგან.

პეტერბურგის ბირჟა 21 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.75
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,32½
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	465 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	293½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სა[illegible] მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ელკის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8 კ.
3 „	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	3½ კ.
3 „	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთაიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთაიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები ჭირითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" № 63.
შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

ახალი წიგნი რუსულს ენაზე

Къ вопросу о мингрельской начальной школѣ (მეგრულის პირველ-დაწყებითის სკოლების შესახებ), ვარიანელისა, დაბეჭდილი პეტერბურგში. ფასი ერთი აბაზი.

Какъ поднять Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ექვსი შაური.

ორივე წიგნის საწყობი არის წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სადაცნაც უნდა დაიბარონ მყიდველებმა. (6—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცალ-დადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ, Общество распростр. грамотности.**

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი" მ. ვ. ლებედევის"

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6—23)

Дозв. цензурою. Тифлисъ 4 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-рис. семинаріи
დროებ. რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.